№ 192 — 23 ენკენისთვე, შაბათი — 1866—1878 — 23 ენკენისთვე, შაბათი — № 192

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: [illegible] წლისა—8 მან., ნ ხევარ წლისა—4 მ.ნ. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და [illegible] ენებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible] სტრიქონებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

პირველი ენკენისთვიდამ
ამ მდგომარე წლის დამლევამდინ

„დროება“

ღირს სამ მანეთად

პირველი ღვინობისთვიდამ წლის დამლევამდინ—ორ მანეთად.

ხელის-მოწერა შეიძლება თფილისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ ადრესსით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

საქართველო

ბათუმის ცხოვრებიდამ

ბედში მყოფი, რომ კაცს უყვარდეს,
იგი არაფერ სიყვარულია;
საქმე ის არის ის შეიყვარო
ვინც, ბედისგან დაჩაგრულია

ილ. ჭავჭავაძე

ცა მოწმენდილია ლაჟვარდის ფერად სიჩუმე, მყუდროება. თოთხმეტი დღის მთვარე ანათებს—მოწამე ბევრის უბედურებისა.

ხის ქვეშ, კოხში, ღუღუნებს ზღვის პირათ ანთებული ცეცხლი—შემაქცევარი ორი საწოლი დედა და ქალისა.

— ადექი შვილო გარაბ, ცეცხლს მოუმატე. ამაღამ მეტის-მეტი ფიქრები მერევა. . .მოუსვენარად ვარ. . . .

—დედა მეშინიან მარტო გავიდე გარეთ შენისთვის. აგერ ახლოს დგანან რუსის ჯარები. ამაღამ ეს კმარა.

— შენთვის ვამბობ, შვილო, არ შეგციოდეს, თორემ ჩემ გულში ისეთი ცეცხლი ანთია, რომ ვერც ზღვის ქარი და ვერც ზამთრის სიცივე რამეს მაგრძნობინებს. ჩემთვის მზე აღარ ანათებს ყველაფერი უბედურება უბედურებაზე მეწვია. მწუხარებას და მოთმენას, ჩემო იმედო, საზღვარი აღარ აქვს. . . დიდის შემდგომ მე იმასაც აღარა ვგრძნობ, რომ სული მიდგია. . .

— დედა, შემიბრალე, მეც ნუ ჩამაგდებ სასოწარკვეთილებაში, ვიდრე მყავს შენს მეტი. მარტო მზის სითბო და მთვარის სინათლე არ გაზდის ჩემს ობლობას. ყველაფერს მოკლებულს ნუ მომაკლებ შენ შობლიურ სიყვარულს...

— შვილო, მეც მაგ მკლამს, მეც მაგი მიშფოთებს გულს, როდესაც მახსენდება, რომ სიღარიბემ, მოხუცებულობამ და ყოველ-ნაირ უბედურებამ ერთ და იმავე დროს მოიცალეს ჩვენთვის. . . შავი და ბნელი ის დღე, როდესაც დეებადა ჩვენს ხალხს აზრი და რუსებს დაუწყეს ჩხუბი სოხუმზე; შენმა ცხონებულმა მამამ მე ორი ღირსება ჩამომაცალა; ერთი ის, რომ თავის მხნეობით ჩემგან შეყვარებული მისი ვაჟკაცობა შესწირა ბუდაუტთან თავდასხმის დროს დამიბნელა ნათლათ ამოსული მზე. მეორეც ეს, რომ ჩვენ გადმოგვასახლეს; შენ და შენი ძმა უსუსური ყმაწვილები იყავით, როდესაც თითქმის ძალით წამოგვიყვანეს ტყვესავით ბათუმში. მე თქვენ ჩემი შავი ლეჩაქით გაგზარდეთ როდესაც ჩემი სიცოცხლე ტუშისაგან—შენი ძმისაგან ცხოვრების იმედი მომეცა, მაშინ კიდევ მოისმა შავი და ბნელი ეს უკანასკნელი ომის ხმა. . . ისიც წავიდა და ვინ იცის ისიც მიწის ქვეშიდამ გვიცქერის. . . აღარც ამბავი. . . ვაი ჩემი დედობის ბრალი! . . ოჰ, გვერდი მტკივა! ასე, ჩემო იმედო, ახლა არის და აგერ კიდევ მოვიდნენ რუსები . . . ვიდრე რუსები არსად იყვნენ სომხებმა და ვაჭრებმა დაგვა ტყუილეს, ჩამოგვართვეს ერთი სასახლე და საყანე ადგილებიც რომ გაგვიჩნდა უბრალო ფასათ. იმ ფულით ჩვენ რას ვიცხოვრებთ, სად წავალთ? ჰო, თავი, თავი, გიკვდები! . .

—დედა! დედა! დედა! ნუ ტირი, გენაცვალოს შენი გახანა! ვაი მიშველეთ, დედა მიკვდება! ღმერთო, ეს რა ცეცხლია ჩემ თავზე!—დედა, მე კი გენაცვალე, მე გასხამ წყალს, მობრუნდი, რას დარდობ? თუ ჩემთვის ფიქრობ, მაგრე რომ კვდები, უფრო საფიქრებელი არ ვიქმნები? დედა ჯან, ჩვენი მეზობელი ახმედა მოვიდა, ამბობს ჩვენ რუსებმა ისევ სოხუმში უნდა მიგვიღონ, ჩვენი ადგილები უნდა დაგვიბრუნონო! მომხედე, არ გიხარია?

— ოხ! ცრემლები მომხოცეთ! ეგ ვინ არის?

— ჩვენი მეზობელი ახმედა. კარგი ამბები გაუგია.

— წამომაყენე, შვილო, წყალი დამალევინე; ფიქრში და ეჭვში არ მოვკვდე. მაინც ჩემ სამშობლოში ვეღირსებოდე დამარხვას.. მაშინ ყველაფერს დავივიწყებ.

— ნენე, ნენე! მე ვარ ახმედა. რათ ხარ მაგრე? მე გავიგე, ჩვენ კიდევ სოხუმში უნდა გაგვგზავნონ რუსებმა, ჩვენი ადგილები კიდევ უნდა დაგვიბრუნონო. აგერ რუსებმა კიდეც აიღეს ბათუმიც, ჩვენ ყველა მივეგებეთ...

— მერმე, შვილო, არ დაუვარდით ფეხ ქვეშ, არ შეეხვეწეთ, არ მოსთხოვეთ თქვენი შეცოდება, არ გააგებინეთ თქვენი შეწუხება, არ სთხოვეთ, რომ გაგვაგზავნონ ჩვენ ქვეყანაში?!

— დედაჯან, მე სხვამაც მითხრა, რომ რუსები გულ-მოწყალე კაცები არიანო, ღარიბი ხალხი ებრალებათო; ჩვენც ხომ ღარიბები ვართ, ჩვენც ხომ მამა არა გვყავს.

— საქმეც ეგ არი, შვილო, რომ ღარიბები ვართ, ღარიბი ხალხი მარტო ფულით ღარიბს და ჭკუით მდიდარ კაცებს უყვარს.

— ამედა, შვილო, ტუშის ამბავი რა იცი, რას მახარებ?

— მე შევიტყე, რომ ის სტამბოლში არის, კარგათ არის, იუზბაშობა მიუციათ, ახლა მალე მოვაო, თქვეს.... ნენე, ნენე, რას მაჩუქებ სამახარობლოდ. . ტუში მოვიდა, ტუში, ტუში!

— ნუ ყვირი, თავი სტკივა, ავად არის, შენი თავი დაატყვილე..

— გიაური იყოს, ვინც ტყვილი თქვას. ეხლა ტუში მოვიდა, რუსებმა რომ ტყვეები მოიყვანეს, იმაში იყო.

— აგერ, დედა, მართლა... ტუში, შენ გენაცვალოს შენი და. .. მომეცი მეორე თვალიც გაკოცო, სად ხარ ძმაო. . სიზმარში ვარ თუ ცხადში, შენ ტუში ხარ? უყურე, დედა, როგორ გიყურებს, ვერ გიცნო.. დედა, დედა, ტუშია ვერ იცანი!

— ვინ, ტუშია? ვინ იცის ჩემი ტუშის ამბავი!

— დედა, მე ვარ შენი შვილი ტუში, ვერ მიცანი?

— ახ! ამას რას ვხედავ! ეს ვისი ხმა მესმის? ჩემი მთვარის, ჩემი ნუგეშის! მოდი, შვილო, მოდი გულზე მიგიკრა.. ვაი თავი! გული მიღონდება..

— გვიშველეთ, გვიშველეთ, დედა გვიკვდება! დედა, დედა, აგერ მე, აგერ ტუში მობრუნდა, ხმა გაგვეც. ჩქარა, ახმედ! მოლლა მოიყვა, ყურანი წაუ-

კითხოს, წყალი ჩქარა, გულზე, თავზე, ჰო მაგრე... დედა, დადა!

— ჰა! რა ამბავია, რუსები მოვიდნენ., ჩემი ტუში მოჰკლეს... ზახანა მიჰყავან.. სად მიგყავსთ, სადა, მაგას მამა არ ყავს, დედა ღარიბი და ქვრივია!....

— დედა, დედა, გონზე მოდი, ჩვენ არავის მივყავართ, აქ ვართ. ტუში მოვიდა, ახლა აღარაფერი გვიშავს.

— ტუში?! სად არის ტუში? ზანა ტუში ცოცხალია?... ვის ვხედავ, ჩემი ტუში! მოდი, შვილო, აგერ ჩემი სიცოცხლე და შენი უმანკო დაი შენთვის ჩამიბარებია..

— ზახან, წყალი მოიტა, ხელები გაუშვებინე, კისერი ვერ გამიშვებინებია... კიდევ გული წაუვიდა. ჩქარა სუნთქავს, მოლლა, წყალი ჩქარა.

— ვაი, ვაი, აღარ სუნთქავს, თვალები დახუჭა, გვიშველეთ, გვიშველეთ! დედა, დედა, ხმა გაგვე!...

— ჰოი დიდებულო ღმერთო! რა არის ეს კაცის ცხოვრება? ზეაკმარე, უფალო, ამდენი ტანჯვა. აღარ გვრჩება დრო, რომ შენც გემსახუროთ. ნუ თუ იმისათვის ვართ გაჩენილი, რომ ყველა უბედურება და მწუხარებაი ჩვენ გამოსაცდელი იყოს...

პრაზანა

ბათუმი, 6 სექტემბერს.

დღიური

*** გამოვიდა უმაღლესი განკარგულება, რომლის ძალითაც ყველა იმ გლეხებმა, რომელთაც შინაური ანუ დამტკიცებული საბუთები აქვსთ თავიანთ უძრავ მამულის შეძენაზედ, ეს საბუთები 1881 წლის 1 იანვრამდინ უნდა წარუდგინონ მომრიგებელ შუამავლებს (მიროვოი პოსრედნიკებს); ამ ვადის შემდეგ წარდგენილი საბუთები კი კანონიერად აღარ ჩაითვლებიან. მომრიგებელი შუამავალი განიხილავს ამ საბუთებს და, თუ მოდავე არავინ აღმოჩნდა, თავის განჩინებას დაადგენს..

*** ამას გარდა გამოვიდა კიდევ მეორე განკარგულება, რომელიც გლეხებისაგან მამულების შესყიდვას შეეხება. ამ ახალი კანონის ძალით,

1) როცა გლეხი, რომელიც რამდენიმე მებატონის დროებით ვალდებული ყმაა, მოთავსება ერთ ამ მებატონესთან და გამოისყიდვის მამულს (ნადელს), პოსრედნი აცნობებს დანარჩენ მემამულეებს ამ გარემოებას და თუ სამი თვის განმავალობაში იმათ არაფერი პასუხი არ შეიტანეს, ხსენებული შესყიდვა თავის ძალაში შევა.

2) როდესაც გლეხი მოინდომებს ისეთის მამულის შესყიდვას, რომელიც ბანკში ანუ კერძო პირთან არის დაგირავებული, ამ შემთხვევაში შესყიდვის პირობა ხსენებული ბანკის ანუ კერძო პირისაგან უნდა იყოს ნება-დართული. მებატონესკი შეუძლიან ან გადაიხადოს იმ მამულის ვალი, ან სხვა სამაგიერო მამული წარუდგინოს მოგირავეს.

3) „დანნების,“ შესრულება და შეძენილი მამულის ჩაბარება გლეხებისადმი მომრიგებელი მოსამართლის (მიროვოი სუდიის) მოვალეობას შეადგენს, რომელიც ვალდებულია ყოველი ამ გვარი საქმე უფროსს ნოტარიუსს აცნობოს.

*** პეტერბურღის გაზეთს „ახალ დროებაში“ დაბეჭდილია ტფილისიდამ მიღებული შემდეგი ცნობა:

„ჩვენს ქალაქში მეორე სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნას აპირებენ; რასაკვირველია, ძლიერ კარგი საქმეა. მაგრამ კარგი არ არის, რომ ის ინსტიტუტი, რომელიც ახლა არსებობს, რიგიანათ ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. მართლაც, ამ სასწავლებლისათვის ხაზინა წელიწადში 30,000 მანეთს ხარჯავს, 9 მასწავლებელია იმაში, 4 კლასი და შაგირდები კი სულ 60.

„ამის მიზეზი სრულებით ის კი არ არის, რომ სწავლის მსურველები ცოტანი იყვნენ; ყოველ წელიწადს სამოცზედ უფრო მომეტებული მოდიან მსურველები, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო არ იღებენ და უკანვე აბრუნებენ. . .“

*** ზალულ კვირაში ერთმა აფიცერმა სახელად სიგიზმუნდ შაბლოვსკიმ თავის თავის მოკვლა განიზრახა; რევოლვერი ისროლა გულში; მაგრამ, როგორც ამბობენ, ისეთ ადგილს გაუარა ტყვიამ, რომ შეიძლება ცოცხალი დარჩესო.

მიზეზი არ იციან. გამოძიება დანიშნულია.

*** მომავალ ხუთშაბათს მუზიკალურ საზოგადოების ზალალაში სომხის თეატრის მოყვარეთ ექნებათ წარმოდგენა სომხურს ენაზედ; „პეპოს“ და ერთი მოლლიერის ვოდევილის „თუნდა გასკდი და ცოლი კი შეირთე“-ს) წარმოდგენას აპირებენ.

*** ოზურგეთიდამ გვწერენ, რომ იქ გამოჩენილა ვიღაც ვაჭარი ლ. ბ., რომელიც ჩემულობს თურმე ყოველ გვარი ავათმყოფობის მორჩენა შემიძლიანო. ამის ყოვლად-მკურნალი წამალი არის თურმე აგურის ნაფხვენი, რომელსაც შეულოცავს თურმე, წყალში ჩაჰყრის და ავათმყოფს მისცემს! თითო წამლისთვის მანეთს, ხშირად ორ-სამ მანეთს! და მეტსაც ართმევს

ვიკვირს, რომ ადგილობრივი პოლიცია ამ გვარ საქმეებს ყურადღებას არ აქცევს.

„დროების“ კორრესპონდენცია

ახალ-სენაკი, 16 სექტემბერს. დროთა ვითარებამ ზარბაზნის კარტეჩათა მაქცია. ქუთაისში ჩამდო ზარბაზნის ტუჩში, გამისროლა და შიგ შუაგულ ახალსენაკის ქალაქში დამცა..

დამცა; მაგრამ ჩემისთანა მშვიდობიანი და უვნებელი კარტეჩი ნეტა ოსმალოებსაც ესროლნათ ჩვენთვის, ამ ომიანობის დროს! არავის არაფერი არ დაუშავერა; ისე გავიშალე მინდორზე, როგორც ფუნჩულა თოვლი.

ჩემი ნახვა ყველას იამა, ყველა სიხარულით და მორიდებით მოესწრაფებოდნენ ჩემსკენ. ასე გასინჯეთ: პოპოშნიკი, პრისტავი და იასაულიც კი მოვიდნენ ჩემდა სანახავად. სხვებმა სალამი მომცეს, ვინაობა გამომკითხეს.

პომპოლიკებმა კი მოსვლისათანავე: „ბილეტ დავაიო“ მიბრძანეს. რა ჯანი მქონდა! მივისვ-მოვისვი ჯიბეზე ხელი და მომხვდა ერთი თეთრი, მაგრამ შიგნით რაღაც შავათ წარწერილი ქაღალდი, ავიღე და მივართვი დიდ პომპოლიკს. მე შიშისაგან სული მილევა—ვნახოთ რას მეტყვის ამ ქაღალდზე-თქო. როცა მან ქაღალდის კითხვა გაათავა, გამიღიმა და მითხრა: „ხოროშო, ეტო ლუჩშე ბილეტა“. რასაკვირველია, ეს მარილიანი სიტყვა მიამა გუნებაში, გავიჩალე პაპიროზი და გაუდექ შუაგულ ბაზარს, ქუჩას დასათვარიელებლად.

ქაცმა მართალი უნდა თქვას, მდებიარებით და სიწმინდით ეს პატარა ქალაქი მშვენიერია: ჯვარედინათ გადაბმული ფართე როჭკით ქუჩები ქუჩების პირმწკრივ გაწყობილი ფიცრული დუქნები, შუაგულ ბაზარში ბესედკა, რომელიც საბაჟოს მაგიერია, მწვანე მინდორზე ლაზათიანად ამოყვანილი შადრევანი და აქვე მახლობლად რკინის გზის სტანცია—მშვენიერ სურათს წარმოუდგენენ მნახველს.

მაგრამ ერთი უმთავრესი ნაკლულევანება ფოლავს ამ ქალაქის სიმშვენიერეს. ის, რომ ძრიელ ჭაობიანი ადგილია და მასთან დამპალი წყალი, რომლის გამოისობით აქ ციებ-ცხელებას ღრმათ გაუდგამს ფესვები და აღარ შორდება ამ პატარა დაბას.

ქურდობა და ჯიბგირობა აქეთკენ თუ ვრცელდება, თორემ არა კლებულობს. ამას ამტკიცებს აქაური ხალხის სიტყვები, რომლებიც მუდამ დღე ზოგი ხარის, ზოგი კამეჩის, ზოგი ცხენის და სხვა ოთხფეხის დაკარგვას ჩივის. ასე გაშინჯეთ, ქალებიც ძალიან დახელოვნებული ყოფილან ქურდობაში.

ერთ საღამოს ჩაის შემდეგ გაუდექ

შუაგულ ბაზრის ქუჩას. ავცდი თუარა ბაზარს, მომეწია ერთი ხანში შესული მეგრელი და შეძახის:

— ჯგირი კოჩი, ჯგირი კოჩი! ბატონის სკუა!

მე შავდექ. იმან დამიწყო ლაპარაკი მეგრულად; მაგრამ რადგანაც მეგრული ენის არა გამეგება-რა, ამისათვის პირ-გაღებული შევაჩერდი ჩემს მესაუბრეს. ის მალე მიხვდა, რომ მე მეგრული არ ვიცი და მითხრა:

— ჩემი პატონი, აქ ძალიან ქურდები არიან, ჯიბეს ისთე მოგჭრიან, ვერ გეიგებ. ქალებმაც ძაან ქურდობა იციან. ზეშინწინ სამი ქალი დაიჭირეს სოფლის კანცელარიაში ქურდობიზა. უფთხილდი, ჩემი ბატონი, შენ აქ ხამი კაცი ბძანდები.

— მადლობელი ვარ, ჩემო კეთილო, ძალიან მადლობელი ვარ მაგ დარიგებისათვის! უთხარი და დავბრუნდი უკან.

არ იყო მოხუცის სიტყვებმა არ ჩამაფიქრეს და მას შერმე სულ ჯიბეში მედო ხელი; მაგრამ ვიფიქრე: ღმერთი არავის გაუწყრეს ჯიბესთან ხელიც არავინ მიმაჭრას—მეთქი, და გავიკეთე უბის ჯიბე:

აქაურებს აქაური ფოჩტმეისტარი თუ ზედამხედველიც კარგათ გაუწრთვნიათ: ეს შევნიშნე თითონ მე, ამ ათის დღის წინეთ ერთ საღამოს მივიტანე ფოშტაში ორი წერილი ქუთაისში გასაგზავნათ. მან ჩამომართვა წერილები, რომლებიც ყოვლის უმარკოთ მისდვა კუთხეში და მომთხოვა თექვსმეტი კაპეიკი. მე გამიკვირდა, რატო მარკას არ აკრავს-მეთქი? მაგრამ იმან მითხრა: „Будьте увѣрены что ваши письма завтра будутъ отправлены!“ და მეც ვერწმუნე. წერილების პასუხს უსათუოდ მესამ-მეოთხე დღეს ველოდი, მაგრამ პასუხი ჯერაც არ მიმიღია.

მ. ღებელი

უცხო ქვეყნები

ინგლისი

საინგლისო ინდოეთის ვიცე-კოროლს ლორდ ლიტტონს ორჯერ მიუწერია წიგნი ავღანისტანის ემირისათვის იმ უკმაყოფილების თაობაზედ, რომელიც ამ ემირსა და ინგლისს შუა ატყდა; მაგრამ ემირს არცერთს წიგნზე პასუხი არ მიუცია.

ინგლისში დიდი მღელვარებაა ხალხისა ამ საგნის თაობაზე; ყველა თხოულობს, რომ ინგლისმა სამაგალითოდ უნდა დასაჯოს ავღანისტანი ამგვარის შეურაცხყოფისათვისო. ლონდონის გაზეთები ამ ყალ-მაყალს სულ რუსეთს აბრალებენ; თუ არ რუსეთის ჩაგონება, ავღანისტანის ემირი ამისთანა შეურაცხყოფის მიყენებას ვერ გაბედავდაო.

ინდოეთში დიდ ჯარებს ამზადებენ ავღანისტანში გასაგზავნათ. მაგრამ ჯერ ომს არ იწყებენ ერთი იმიტომ, რომ უნდათ ავღანისტანის მოსამზღვრე ხალხები მოიმხრონ და მეორე იმიტომ, რომ ბოლოში მოთხოვას და დაკმაყოფილებას მოელიან თვითონ ავღანისტანის ემირის შირ-ალისაგან.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ვენა, 20 სექტემბერს. ავსტრო-ვენგრიის პალატაში ტისსამ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოაცხადა, რომ უკეთესი იქნებაო ავსტრიამ შეაჩეროს ყოველი სამხედრო მოქმედება, ბოსნია და ჰერცოგოვინა ისევ ოსმალეთს დაუბრუნოსო და კერძო კონვენცია შეჰკრას ოსმალეთის მთავრობასთანაო.

სტამბოლი, 20 სექტემბერს. გაზ. „ბოლოსის“ დეპეშა: უცხო ქვეყნის ელჩები აქცევენ ყურადღებას აღმოსავლეთ რუმელიის ბოლგარიელების მდგომარეობასა და მოთხოვნილებას. ფილიპოპოლის მცხოვრებლები [illegible], რომ ხალხთა-შორის კომისიას ჩვენს ქალაქში არ დავაყენებთო.

პეტერბურლი, 21 სექტემბერს. გუშინ მოვიდნენ აქ უკანასკნელი ბატალიონები გვარდიის ჯარისა.

ცეტინიე, 19 სექტემბერს. ჩერნოგორიის მთავარმა ნიკოლაიმ საკუთარის წიგნით სთხოვა ავსტრიის ღენ. ფილიპოვიჩს, რომ თავის სამშობლოში დაბრუნების ნება მისცეს იმ ბოსნიელებს, რომელნიც იქიდამ გამოიქცნენ. თუ ავსტრიელები დაუსჯელად არ შეუშვებენ იმათ ბოსნიაში, მაშინ მე გავგზავნი ყველას ალბანიაშიო, რადგან ჩერნოგორია იმათ ვერ არჩენსო.

ფოთი-თფილისის რკინის გზა.

განცხადება

ფოთი-თფილისის რკინის გზის სამმართველო ამით აუწყებს საზოგადოებასას, რომ 30 სექტემბერს და 1-ს ოკტომბერს მცხეთობას წამსვლელთათვის და უკანვე წამოსასვლელად დანიშნულნი არიან განსაკუთრებული მატარებლები ქვემო აღნიშნულის რიგით, იმ მატარებელში კი, რომელნიც მუდმივ მიდიან-მოდიან— იგინი არ მიიღებენ.

30 სექტემბერს

თბილისიდამ			მცხეთიდამ		
ღამის	6 საათზე		ღამისა	7 საათ.	23 მინ

1-ლს ოკტომბერს

დილისა	7 საათზე	„ მინუტზე	დილისა	8 საათ.	1 მინ.
	8 საათზე	5 მინუტზე		9 საათ.	10 მინ.
	10 საათზე	5 მინუტზე		11 საათ.	5 მინ.
	11 საათზე	5 მინუტზე		12 საათ.	მინ.
	12 საათზე	7 მინუტზე	შუადღისას	1 საათ.	12 მინ.
შუადღისას	1 საათზე	12 მინუტზე		2 საათ.	15 მინ.
	2 საათზე	15 მინუტზე		4 საათ.	10 მინ.
	4 საათზე	10 მინუტზე		5 საათ.	18 მინ.
ღამისა	6 საათზე	10 მინუტზე	ღამისა	7 საათ.	15 მინ.
	7 საათზე	12 მინუტზე		8 საათ.	19 მინ.
	8 საათზე	20 მინუტზე		9 საათ.	49 მინ.
	9 საათზე	48 მინუტზე		10 საათ.	55 მინ.

ყველა მატარებელში იქნება ადგილი 48 პასსაჟირისათვის I კლასში, 128 II კლასში და 600 პასსაჟირისთვის III კლასში.

დღესასწაულ დღეს და წინა დღესაც, თპილისისა და მცხეთის სტანციებში, პასსაჟირებისათვის ბილეთები გაიყიდებიან ოთხ კასსაში; I და II კლასების ბილეთები სამუდამო სტანციის კასსაში, მესამე კლასისა კი სამ დროებით გამართულ კასსებში შემდეგი ნომრებით №№2, 3 და 4, სტანციის შენობის ახლოს. ყველა წამსვლელ მატარებლისთვის იმდენი ბილეთები გაიყიდებიან, რამდენიც ვაგონში ადგილებია, შემდეგ კასსები დაიკეტებიან და ახლად გაიღებიან ახალი მატარებელის მოსვლამდის ნახევარ საათის წინად.

იმ პასსაჟირებს, რომელნიც მატარებელში უბილეთოთ იქმნებიან, გამოერთმევათ ორჯელ მომეტებული ფასი და მიეცემათ საკუთარი ბილეთები, რომელნიც ექნებათ რკინის გზის აგენტებს.

ათ წელზე ნაკლები ბაშვები, არ წაიყვანებიან მცხეთაში, თუ თან უფროსი არავინა ჰყავთ. დედას შეუძლიან წაიყვანოს ერთი ბავშვი ხუთ წლიწადზე ნაკლები, მაგრამ უნდა დაისვას მუხლზე იმან, ვისაც მიჰყავს, თუ ხუთ წელზე ნაკლები სხვა ბავშვიც ეყოლებათ მისთვის კი უნდა გადიხადოს ფასი, როგორც ხუთიდამ ერთის წლის ყმაწვილისათვის ათ წელზე ნაკლები ბავშვები გადაიხდიან ფასს და მეორე კლასში ნახევარ ადგილისას, მესამე კლასში კი მეოთხედის ალაგისას. ათი წლისაზე მეტი ბავშვები გადიხდიან ყოველის ალაგის ფასს. ყველა ბაასი შესახებ წლოვანების გამორკვევისა უნდა გადაწყვეტილი იქმნას სტანციის უფროსისაგან.

1 ოკტომბერს მცხეთაში, მეიდანზე ფოჩტისა და რკინის გზის სტანციების შუა, დაუკრავს სამხედრო მუზიკა, დილის თერთმეტ საათიდამ ღამის თერთმეტ საათამდინ. (1—1)

ოთხშაბათს, 25 ენკენისთვეს,
ნემეცების ქლუბის ზალაში,
ქართული ორიგინალური და ნათარგმნი წიგნების დაბეჭდისა სასარგებლოთ
ქართული სცენის მოყვარეთ-გან
იქნება წარმოდგენილი:

„ჯერ დაიხოცნენ და მერე დაქორწილდნენ“

ოდეველი ორს მოქმედებად,
რუსულიდამ გადმოკეთებული თ. რაფ. ერისთავისგან, და

ცოლი თუ გინდათ, ეს არის!

ოდეველი ერთ მოქმედებად, თხზ. ვასილი აბაშიძისა.

ანტრაკტებში იქნება **ქართული** სახალხო ლექსების **გალობა** ნოტებზედ, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას 15 კაცი.

წარმოდგენის შემდეგ დაიწყობა ტანცაობა ღამის 2 საათამდინ. (2—1)

ბეჭდვიდგან გამოვიდა და ისყიდება

მეექვსე კარი „ყარამანიანისა“

ქ. თფილისში, მიხაილოვის ხიდზე, მირზოევის შენობაში, მხოლოდ ს. არტ. ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ფასი 40 კოპ.

მსურველს შეუძლიან მიიღოს ამ წიგნის მაღაზიაში I, II, III, IV და V კარი „ყარამანიანისა“.

იბეჭდება და მომავალ თვეში გამოვა **მეშვიდე კარი „ყარამანიანისა“**. (3—2)

ბიბლიოგრაფიული ცნობა

დაიბეჭდა და ისყიდება **„პატარა ბიბლიოტეკა“**, წიგნი პირველი, რომელიც შეიცავს სამს საუმაწვილო მოთხრობასა, ი. ბოგიბაშვილის რედაქციით.

ფასი ორი შაურია, მაგრამ ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპეიკათა სახალხო შკოლებს, როცა ერთათ იყიდიან ოც-და-ათ ეგზემპლიარსა ნაღდ ფულზედ და კერძო პირებს ასს ეგზემპლიარს თუ ერთათ წაიღებენ.

წიგნი ისყიდება გამომცემლის სოლომონ ვართანოვის წიგნის მაღაზიაში. (10—8)

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. ბიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში—და თელავს სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანციევთან ახალი წიგნი.

ლექსთა კრება

თ. გრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძისა, ივანე კერესელიძისა, იოსებ ბაქრაძისა და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული
ზაქარია ჭიჭინაძისა
ფასი ორი შაური.

ბამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნი მაღაზიებში,
ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთიკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

16-ს აგვისტოდამ გაიხსნა
ქ. ქუთაისში

„წიგნის მაღაზია“

სადაც ისყიდება ყოველ-გვარი **სახელმძღვანელო წიგნი** (учебники), რუსულსა და ქართულს ენაზე. გარდა სახელმძღვანელო წიგნებისა **„მაღაზიაში“** ისყიდება სხვა ყოველ-გვარი საკითხავი წიგნებიც, აგრეთვე რუსულსა და ქართულს ენაზე.

ამავე მაღაზიაში იმყოფება ქუთაისის განყოფილება კავკაზიის სამასწავლებლო უწყების კომმისსიონერის უ. ვართანოვის წიგნის მაღაზიისა.

მაღაზია იმყოფება: მიხაილოვის ქუჩაზე, უ. ხარაზოვის სახლებში, ქლუბის ქვემოთ.

ისყიდება პარტიითა და თითო კულიოთაცა **თამბაქო**, მახორკა, ნაკლებ ფასათ.

ადრესი: ბალერეი არწრუნისა, № 146.

ივანე ალხაზოვი.

რკ. გზა.	დილა.		ს ღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი. .	9	21	5	18	ს.	კაპ.	ს.	კაპ.
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორ. . . .	11	5	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამ. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა. .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	5			6	75	3	75
სამტრედია.	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი. . .	9	5			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკ	10	14			1	18	-	66
სამტრედია	11	5			2	6	1	14
რიონი. . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამ.		3	98	2	21
სურამ. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური. .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი. .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა. .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილ სი.	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოფი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, ლუშეთს, სილნალს . .	—	50
როსტოვ, ოდესს, მოსკოვ	2	—
პეტერბურ, ვარშავას	2	—
ოსმალეთშ, შვეიცარიაში.	3	—
იტალიაში და ს ფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: ს. ზეზვარ გორთ, ქუთაისს, რუსეთა— ყოველ ლ ღე კვირას გარდ. ზუგდ. ორშ. და ხეთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ ქ. ხეთს—სშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის კენ—ყოველ ლ ღე, კვირას გარდ. ოჯუგეთს—ორშ. და პრასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ
და საზღვარ გარეთ:	
ლია წიგნი	4
დ ბ ჭ ილ ს (ბ.ზი მისხ.ლი) .	8

ბაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 21 სექტემბ		
ფქვ. თეთ. ბანჯ ხა, ფთ.	1	70
ფ ვილი წ თელი . . .	1	50
ქერი ფუთი	1	25
ბამბ, ერევ ისა, ფუთი .	7	20
—ამერიკისა, ფუთი . .	7	60
ბაპენტილი ბ მბა ფუთი.	10	—
ბატკანი თუშური ფუთი	8	50
—ოთარაქამ.სა ფუთი . .	4	50
ბრეშუმი ნუხური ლტ .	2	—
ქონ , ფუთი	6	50
ქონის სანთ ლი ფუთი .	8	40
სტეარინის ს ნთ ლი, ფთ.	12	20
ხორცი ძროხისა, ლიტ	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროკ. ფუთი .	7	40
—ფხვნილი ფუთი . .	6	20
ყავა ბრაზილ ლი, გირვ. .	—	70
ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	14	—
ბამბაქო, ხაშურ ლო ფთ.	7	50

თფილისის სამკურნალო
ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე ღილის 9 საათიდამ 1-მდინ.
ორშაბათს: ვერმიშევი და ბარალევიჩ—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—საგარო ექიმი და საშეილოს ოპერაციები.
სამშაბათს: ვერმიშევი—შინ.გ. ა.ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვს, პეუნოვი—თვალს.
ოთხშაბათი: ვერმიშევი შინ.განი.
ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ძ. უზაროიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.
პარასკევს: ვერმიშ ევი-შ.ნ.გ. ა. ბახუტოვი—ს.ბებიო ქალისა და ბავშვებს.
შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 22 Сентября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი